12 (24) აპრილს. 1868. № 15. მესამე წელიწადი.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

ბაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: ახალი ფორმის ოცდა ხუთ მანეთიანი ბილეთის აღწერა.—პოლიტიკა.—ანგლია.—შეერთებული შტატები.—ტელეგრამმები.—ქიზიყელები ინგილოებში.—სამოსამართლო ქრონიკა.—ქლოდ ბო (თხზულება ვიკტორ ჰუგოსი).

ახალი ოცდახუთმანეთიანის აღწერა.

№ 24 მთავრობის განკარგულებათა და კანონ-კოფათა კრებაში გამოცხადებულია მმართველი სენატის უქაზი ოცდახუთ მანეთიანი ახალი ფორმის სახელმწიფო კრედიტის ბილეთის აწერაზე.

კრედიტის ბილეთი ოცდა ხუთ-მანეთიანი დაბეჭდილია მოყვითლო ქაღალდზე, რომელსაც აი ეს შინაგანი ნიშნები აქვს. ზემოთ ორივე მხრივ ციფრი 25 აზის, შუაში სამი ასო Г. К. Б. (Государственный кредитный билетъ) სახელმწიფო კრედიტის ბილეთი, და ქვემოთ ორივ მხრივ შემოკლებული სიტყვა: „руб“. ხოლო შუაში ციფრები, რომელნიც აღნიშვნენ წელიწადს, როცა ქაღალდი მოჭრილა. ზემოხსენებულს ნიშნებს შუა დარჩენილი ალაგი ნათელი ხაზებით არის გავსებული.

ბილეთის წინა პირზე იასამანის ფერი მსხვილი ბადეა დახატული, ამ ბადეშია ციფრი 25 ჩასმული. მარჯვნივ დიდი ციფრის 25 ქვეშ არის ერთი დიდი და ოთხი პატარა ნათელი რგოლი იმ დიდ რგოლს გარეშემო. პატარა რგოლებში ჩასმულია ნათელი ციფრი 25 და რგოლებსა და რგოლებს შუა ფილენჩატური სახეებია. ბადის ქვემოთ დიდი ასოებით დაბეჭდილია სიტყვები „двадцать пять рублей“ (ოცდა ხუთი მანეთი) გილიეშირით შემკული. ბადეს ჩარჩო აქვს შემოვლებული. ამ ჩარჩოს შეადგენს ორი თეთრი ზოლი კუთხეებზე დაკლაკნილი და შემოხვეული გილიეშირიან ზოლზე, სადაც თეთრი სიტყვებით წერია „двадцать пять рублей“. ეს სიტყვები სიგანეზე სამჯერ არიან დაბეჭდილნი და სიგძეზედ შვიდჯერ. ოთხ კუთხეზე თეთრი მოგძო რგოლია, რომელშიაც გილიეშირიან მიწაზე თეთრათ ჩაბეჭდილია ციფრი 25; მთელი არშია კიდევ შემოვლებულია სწორი იასამნის ფერი ხაზითა.

უმთავრესი ვინიეტკა (*) ზედა პირზე გამოხატავს განიერს ნათელი ზოლებით გარშემოხვეულს და წვრილი ხაზებით გავსებულს რგოლსა. რგოლზედაც შავ მიწაზეა ოთხი მედალიონი შავ მიწაზედვე დახატული თეთრი ვენზელი მისი იმპერატორების დიდებულებისა. ეს მედალიონები ფარებით არის შეერთებული და ფარებში შავ მიწაზე თეთრი ასოებით ეს არის დაწერილი: „двадцать пять рублей“ (ოცდა ხუთი მანეთი). მედალიონებსა და ფარებს შუა დაწყობილია თეთრი სამკუთხები. დიდ რგოლს შიგნით გამოხატულია სახელმწიფო არწივი პორფირზე. რგოლს ზემოთ საიმპერატორო გვირგვინი და რგოლს იქით გრეხილებიანი ფარი, რომელიც ზემოთ გვირგვინის ორ მხრივ თავდება ორი ყურითა; ყურებში გაყრილია გვირგვინის ლენტები.

დიდი ციფრი 25 დაბეჭდილი ბილეთის წინა პირზე შეზავებულია გილიეშირით და შემკულია მხატვრობით და მედალიონებით, რომელშიაც პატარ-პატარა ციფრები „25“ არიან ჩასმულნი.

ზედა პირზე დაბეჭდილი ტექსტი სხვა და სხვა ნაირ ასოებითა ხატავს:

სახელმწიფო საკრედიტო
ბილეთები.
წარდგენისა თანავე სახელმწიფო ბანკის
დასაცველელ კასიდან მიეცემა
ოცდა ხუთი
მანეთი
ვეცხლის ან ოქროს ფულისა
მმართველის ამხანაგი
კასსირი (ხაზინადარი)

(*) ვინიეტკა—ფრანცუზულია; ნიშნავს რაზედმე შემოყოლებულს სხვა და სხვა მხატვრობას.

ქლოდ ბო

(თხზულ. ვიკტორ ჰუგოსი)

შვიდი თუ რვა წლის წინათ პარიჟში ცხოვრებდა ერთი ღარიბი მუშა თავის საყვარლით და პატარა ქალით. ამ ამბავს, როგორც იყო ისე ეუამბობ მკითხველს და როგორც ნებავდეს, ისე განსაჯოს. ის მუშა იყო ჭკუიანი კაცი, ნიჭიერი, საქმის მცოდნე, თუმცა კარგი აღზრდა არ მიეღო, მაგრამ ბუნებას ყოველის ფრით შეემკო; წერა-კითხვა არ ესწავლა, მაგრამ აზრიანი იყო. ზამთრით, რასაკვირველია, არა არის რა სამუშაო. ეს კაცი სადღაც ზ ვით ჭერზე მიმალულ იყო თავის სახლობით, არც პური მოეძებოდა, არც ხელის მოსათბობი. მუშა, დედა და შვილი შიმშილსაც ითმენდენ და სიცივესაც. ამ კაცმა მოიპარა. რა მოიპარა, ან სად მოიპარა, ამის არა ვიცი რა; მაგრამ ეს კი ვიცი, რომ სახლობა სამ დღეს გაიკვება და გათბა, მაგრამ მუშას წილში ჰხვდა ხუთის წლის დატუსაღება.

ჟურდი გაგზავნეს ქლერვოს საპყრობილეში. აქ ქლოდ ბოს ღამით სატუსაღოში ეძინა და დღისით სახელოსნოში იმყოფებოდა. ამ სახელოსნოზე არა მეთქმის რა, ღვთის წინაშე.

უწინ პატიოსანს კაცს და ახლა ქურდს ქლოდ ბოს ჰქონდა ბრძნული და პატივსაცემი შეხედულობა: მაღალი შუბლი ადრიდგანვე დასერილი, ჭაღარა ნარევი სქელი შავი თმა, გადაწოლილს წარბებს ქვეშ ღრმად ჩამჯდარი წყნარი თვალები, დიდი ცხვირის ნესტები, გამოვარდნილი ნიკაპი და მძულვარების გამომხატველი დამუწული ბაგე; ერთი სიტყვით ის იყო ლამაზი სახის კაცი.

ბევრს არ ლაპარაკობდა; რომ შეგეხედნა, უნებურათ პატივსა ჰსცემდი. სახეზე ჩაფიქრებული იყო; მწუხარებას იმდენათ არ იჩენდა, როგორც სიბრძნესა: მაგრამ მართლაც ძალიან სწუხდა.

ქლერვოს საპყრობილესთან სახელოსნოების უფროსათ იყო ერთი კაცი. ის იყო მეტუსაღეც და სახელოსნოების პატრონიც. ამისთანა კაცები ისეთი ხასიათისანი არიან, რომ, როცა ხელოსანს საქმეს მისცემენ, უსაოდ ამასაც ეტყვიან: ვაი შენს მოსწრებას, თუ კარგათ არ გაგიკეთებიაო და როცა იარაღს მისცემენ, უეჭველად ფეხებზე ბორკილს დაადებენ. ქლერვოს დირექტორიც ამ გვარი კაცი იყო: უკმეხი, უფლების მოყვარე, თავის ნება, რომელსაც სიტყვას ვერ შეუბრუნებდი, მაგრამ ხან-და-ხან სათნო ამხანაგი გახდებოდა ხოლმე, კეთილი გულის უფროსიცა, კიდეც მოილხენდა და ხუმრობით დაცინვაც იცოდა; რამდენათაც ფიცხი იყო, იმდენათ გულმაგარი ვერ იყო. მსჯელობა არავისთან უყვარდა, და არც თვითონ იცოდა ფიქრი იყო კარგი მამა, კარგი მეუღლე, თვისებით კი არა, იმისთანა როგორსაც მეუღლის მოვალეობა მოითხოვს; ერთი სიტყვით თუმცა ბოროტი არ იყო, მაგრამ ცუდი კაცი იყო. ის იყო ერთი იმ გვამთაგანი, რომელიც ვერც თანაგრძნობელობს სხვას და არც უნდა შეატყოს სხვისი გარემოება. თითქოს იმისთანა უძრავ ნაწილებისგან იყოს შემდგარი, რომ არც ერთს აზრში და არც ერთს გრძნობაში არ გახდება სხვისი თანაზიარი. ამ გვარ კაცების გაჯავრებაც გულ ციეა და სიმძულვარე გულ შავი. შეცრად აენთებიან, მაგრამ გული კი არ აუღელდებათ, გაცხარდებიან, მაგრამ იმათ გულს ოდნათაც სიმხურვალე არ მოემატება. იმათ აკლიათ გულ-ჩჩვილობა. ისინი ჰგვანან ხეს, რომელსაც ცალ გვერდით ცეცხლი ეკიდება და მეორე გვერდზე რომ შეეხო, როგორც ყინვა, ისე ცივია. სატუსაღოთა დირექტორი დაუჯერებლობით იქებდა თავსა და ამ შემთხვევაში თავისთავს ნაპოლეონს ადარებდა; მაგრამ ამით თავს ატყუებდა. ბევრი იმისთანა კაცია, რომ ასე ფიქრობს და თავისნებობა ხასიათის სიმაგრე ჰგონია: სანთელი ვარსკვლავათ ეჩვენებათ. ის ერთს რასმე აიხირებდა და ველარაფრით ვერ მოაშლევინებდა კაცი, მანამდის ამ ახირებულს საქმეს ბოლოს არ მისცემდა. უაზრო თავის-ნებობა, ეს ისეთი სიანჩხლეა, რომელიც უგუნურებაზე ახლოა და უგუნურებათაც იქცევა. ის შორს განიტაცებს კაცსა. როცა კერძოობითი, ან საზოგადო რამ უბედურება მოხდება, თუ ის განვიხილეთ ჩვენ ყოველთვის დავრწმუნდებით ხოლმე, რომ უბედურების მიზეზი ბრმა კაცის თვით-ნებობა ყოფილა, რომელიც დიდი თავმომწონე ყოფილა და რომელსაც დიდი თავის პატივისცემა ჰქონებია. ქვეყანაზე ბევრია ამისთანა თავისნება კაცი, რომელიც თავის ნებას ბედის-წერათ ჰხდის და თავის თავს ღვთის განგებით მოვლენილათ.

ქლერვოს სატუსაღოს სახელოსნოთა დირექტორიც ამ გვარი კაცი იყო; ამისთანა იყო კვესი, რომლითაც სცემდნენ ტუსაღებს, როგორც ტალსა (კაჯსა) ცეცხლის გასაჩენათ.

როგორც კი ქლოდ ბოი ქლერვოს სატუსაღოში მიიყვანეს მაშინვე ჩასწერეს ხელოსნ ბის სიაში და მისცეს სამუშაო. სახელოსნოს დირექტორი გაეცნო, ნახა, რომ კარგი მუშა იყო. და ფერება დაუწყო. ერთხელ დირექტორი კარგ გუნებაზე იყო და ქლოდ ბო რომ მოწყენით დაინახა, უნდოდა გაემხიარულებინა და უთხრა, გიჟი ხარ, რათ სწუხარო, განა ღირს მაგისთანა ქალზე ჯაიროობაო, შენი საყვარელი რათა ხანია გაროსკიპდაო. ქლოდ ბო ჯავროობდა იმაზე, რომელსაც თავის ცოლს ეძახოდა და დირექტორმა იმ აზრით გამოუცხადა ცოლის სიროსკაპე, რომ სიყვარული გაეცივებინა და ქლოდ ბოს აღარ ეჯავრა. ამან გულ-ცივად უპასუხა, ჩემ ქალს რაღა დაემართაო? ამისი კი არა იცოდნენ რა.

რამდენსამე თვეს შემდეგ ქლოდი შეეჩვია სატუსაღოსა და თითქოს სხვაზე აღარაფერზე ფიქრობა. ის ისევ ჩადგა უწინდელს ხ სიათში.

ამ დროს ქლოდ ბო თავის ამხანაგებში ყველასგან პატივცემული შეიქმნა. როცა რასმე განიზრახავდნენ, წინათ იმასთან უნდა მოელაპარაკნათ, არ იცოდნენ კი რისთვის მიელო ქლოდ ბოს ამისთანა დიდი მნიშვნელობა ტუსაღებთ შორის. ყველანი უჯეროდნენ, უკვირდათ იმისი ჭკუა-გონება და ყოფა ქცევა. ყველანი თითქმის თაყვანს სცემდნენ და ცდილობდნენ იმისგან რამე გადაეღოთ. ამ თავის ნება კაცების დამორჩილება მხოლოდ მაგარს ხასიათს უნდა შეესძლებოდა. ქლოდი ბატონობას არ ფიქრობდა. ის თავის უნებურათ შეიქმნა ბატონათ საპყრობილეში. თვითონ ასეთ ნაირათ შეხედავდა კაცს, რომ უნებურათ იმორჩილებდა. ქაცის თვალები ფანჯრებია, რომელშიაც იხედება კაცის აზრები.

დააყენეთ იმისთანა კაცი, რომელსაც აზრობა სჩვევია აზრობის უჩვევს კაცებში და მალე ნახავთ, რომ ყველა ბუნდის აზრისანი დაემორჩილებიან ნათელს გონებიან კაცსა. ზოგი კაცია, რკინასა ჰგავს, ზოგი ანდამანტს, რომელიც თვისკენ იზიდავს რკინასა. ქლოდ ბო ჰგავდა ანდამანტსა.

სამ თვეს არ გაუვლია, მასუკან რაც ქლოდი გახდა სახელოსნოში სამამგალითო კაცათ. ის იყო ტუსაღების სული და კანონიცა; რასაც იტყოდა, იმის წინააღმდეგობა არავის შეეძლო.

მაგრამ რამდენათაც უფრო და უფრო იგებდა ტუსაღების გულსა, იმდენათ ეკარგებოდა მეტუსაღეს სიყვარული. დირექტორმა შეიძულა ისა. ეს ყოველთვის ასეა. ამებთან თუ კარგათა ხარ, უეჭველათ ბატონი შეგიძულებს.

ქლოდ ბომ ძალიან ჭამა იცოდა. ეს იყო იმის განსაკუთრებული თვისება. იმისი სტომაკი ისეთ ნაირათ იყო მოწყობილი, რომ რაც ორ კაცს ეყოფოდა, ამდენიც ძლივს აძღობდა.

ქლოდ ბო სახლის ჭერზე თავისუფლათ დაბინავებული დღეში შოულობდა ოთხ გირვანქა პურსა და ყოფნიდა კიდეცა. სატუსაღოშიაც მთელი დღე მუშაობდა, მაგრამ გირვანქა ნახევარ პურის მეტსა და ცოტა ხორცის მეტს არ აძლევდნენ. ტუსაღის კერძი არ იკვლება. ამისთვის ქლოდ ბოს საპყრობილეში ყოველთვის ჰშიოდა. ჰშიოდა, მაგრამ ჩუმათ იყო; ასეთი ხასიათი ჰქონდა.

ერთხელ ქლოდ ბომ უცბათ შესჭამა თავისი პატარა კერძი და მიჰყო ხელი მუშაობას. უნდოდა შიმშილი შრომით გადაეგდო.

სხვა ტუსაღები პურის ჭამას შეექცეოდნენ. ერთი ფერმკრთალი და სუსტი ტუსაღი მივიდა ქლოდთან, ხელში ეჭირა თავის კერძი და დანა. ჯერ პური არ ეჭამა. ეს ახალგაზდა კაცი გაჩერდა ქლოდის წინ, თითქოს რიღასიც თქმა სდომებოდეს და ვერ გაებედნოს. ქლოდი

ბილეთის მეორე გვერდზე ჩარჩოში დაბეჭდილია: ორი როზეტი, (*) წელიწადი, შემოკლებული აზრი მანიფესტისა კრედიტის ბილეთებზე. ის არის დაბეჭდილი სხვა და სხვა გვარი ასოებით. აქვეა ხელმწიფის სურათი. ბარეგანი არშია ჩარჩოსი არის სწორი მსხვილი ხაზი, ხოლო შინაგანი არშია წარმოადგენს სწორს და წვრილს ხაზსა კუთხეებზე მხატვრობით შემკულსა. ამ ორს არშიას შუა გრძელი ვიწრო ფარებია, რომლებშიაც ჩაბეჭდილია „двадцать пять рублей“ (ოც და ხუთი მანეთი) წვრილი ასოებით. ეს სიტყვებია ჩატეულია ბილეთის სიგრძეზე ექვს ჯერ და სიგანეზე ოთხ ჯერ. ოთხივე კუთხეზე გილიეშირიან რგოლებში ჩასმულია ნათელი ციფრი 25.

ბილეთების მარჯვნივ მდებარე როზეტი მოგძოა, გარეშემო დაკვლაკვნილი პირები აქვს და გილიეშირიანია. შუაში ჩასმულია დიდი ციფრი 25, რომელსაც გარეშემოწყობილი აქვს ათი პატარა ციფრი 25 შავ მოგძო რგოლებზე დაბეჭდილი.

მარცხნით მდებარე როზეტი მარჯვენა როზეტის ნაირია და იმით განირჩევა, რომ იმისი გრეხილი თეთრ-ხაზებიანია შავ მიწაზე, მაშინ როდესაც მარჯვენა როზეტის გრეხილი შავ-ხაზებიანია თეთრ მიწაზე.

ბილეთის ზემოთ დაბეჭდილია ერთს სტრიქონში; „გამოკრ ფილი აზრები უმაღლესად გამოცემულის მანიფესტიდგან კრედიტის ბილეთებზე“, ხოლო როზეტებზე და იმათ ქვეშ სხვა-და-სხვა გვარ ასოებით დაბეჭდილია შემდეგი სამი პარაგრაფი ამა მანიფესტისა.

(*) **რ ო ზ ე ტ ი** ფრანცუზულია; ნიშნავს ვარდის სახის მხატვრობას, ან ვარდის სახათ გამოქანდაკებულს რასმე.

1) „სახელმწიფო კრედიტის ბილეთები უზრუნველ იყოფება მთელი სახელმწიფო ქონებითა და ყოველს ჟამს შეუჩერებელ-დაცვლითა ლითონის ფულზე, რომელიცა წინათვე განწესებული ფონდიდგან გამოიტანება“.

2) კრედიტის ბილეთებს, როგორც სხვა ვეცხლის ფულს, ისეთი ფასი ექმნება მთელს იმპერიაში.

3) „ყალბი კრედიტის ბილეთების მოჭრისათვის—დამნაშავეთა ყოველი გვარი ქონებითი სიმართლე ჩამოერთმევათ და გაიგზავნებიან კატორგაში სამუშაოთ“.

ბილეთის ძირს ხელმწიფის სურათის ქვემოთ დაბეჭდილია ციფრები, რომელნიცა წელიწადს აჩვენებენ.

ბილეთის შუა გულზე არის დაბეჭდილი მეფის ალექსი მიხაილის ძის სურათი მოგძო სამხაზიან რგოლში, რომელიც გავსებულია სლოვენური ასოების ზედ წარწერითა: „ალექსი მიხაილის ძე, ხელმწიფე, მეფე და დიდ მთავარი, მთელის და მცირე რუსეთის თვითმპყრობელი“.

პოლიტიკა.

ანგლია.

წინათვე დაწყობილი ბაასი ირლანდიის საქმეზე ანგლიის პარლამენტის ქვემო პალატაში გვიმტკიცებს ზედ მიწვენითა, რომ საქმე იმისთანა საფუძვლით ძნელათ გადასწყდება, რომ ამ უბედურ მხარის მშვიდობიანობა დამყარდეს. ცვლილება მაშინ იქმნებოდა ნამდვილი, რომ ადგილ-მამულის პატრონობას და ანგლიის ეკკლესიისა საკუთარ პრივილეგიას შეეხებოდა. მაგრამ არ შეიძლება ამის მოფიქრება, რომ პარლამენტი ასე შორს წავიდეს. ძონსერვატიული (ძველის რჯულის და ადათის მიმდევარი) პარტია, რომლისაგანაც ეხლანდელი სამინისტრო გამოვიდა, ეწინააღმდეგება ანგლიის სასულიერო-თაგან მოპოვებულ უპირატესობის ცვლილებასა; ეს უპირატესობა დიდი ხანია უსამართლოებათ არის მიჩნეული საზოგადოებისაგან. ამას შემდეგ შესამეცნებელია, რომ ადგილ მამულის პატრონობის საქმე ამისთანა დახლართული და არეული საქმე, უფრო ძრიელს წინააღმდეგობას ნახავს ზემოხსენებულ პარტიისაგან. ყველამ იცის, რომ ევროპის არც ერთ მხარეს ომით დაპყრობისაგან იმდენი სატანჯველი არ უნახავს, როგორც ირლანდიასა. ტუდორების, სტუარტების ქრომველლის დროებში ანგლიელებმა ირლანდიაში ხმლით გზა გაიკეთეს და თანა ცდილობდნენ იქ მცხოვრებელ მამულის პატრონების ხელისაგან ადგილ-მამული გამოეგლიჯათ; და მართლათაც ადგილ-მამული მოსულების საკუთრება შეიქმნა: რაც კი ანგლიის თავად-აზნაურობამ ვერ შეიძლო ან ვერ მოახერხა დაეჭირა, გადავიდა პროტესტანტის სასულიერო წოდების ხელში და მხოლოთ ირლანდიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხარეში დარჩა რამდენიმე გამოჩენილი გვარი ირლანდიისა; ისინიც დამმარცხებელთ მხარეს გადავიდნენ. ადგილობრივ მცხოვრებელი ხალხი შეიქნა მოხიზნე, ან ძალდატანებული იყო ჯამაგირით მუშათ შეემუშავებინა ის მამული, რომელიც ოდესმე სრულებით იმას ეკუთვნოდა. ხალხის მდგომარეობა გაჭირვებული იყო, მაგრამ ანგლიის მმართებლობა ვერ ვერ ეგებინა, რაკი ადგილობრივ მცხოვრებლებს აღებ-მიცემობის გზას უკრავდა. მაუდის მოსაყვანი ფაბრიკები იმათთვის დაიკეტა; ღონისძიება არა ჰქონდათ ანგლიის მდიდარ კოლონიებთან ევაჭრათ და თითქმის ირლანდიიდგან ანგლიაში პურის შეტანაზე დიდი ბაჟი იყო დადებული. ამ ახლო ხანებში ლორდი როსსელი ამბობდა: „ირლანდიის გლეხს აკრძალული აქვს აღებ-მიცემობა ქორკში ანუ ქილკენნეში, მაშინ როდესაც ანგლიის გლეხი სოფელში უსაქმო, შოულობს საქმეს ბირმინგემში, მანჩესტერში, ლიდსში. ძალა ადგია ირლანდიის გლეხს, რომ მარტო ხვნა თესვით იშოვნოს სარჩო. რასწამს კი სახიზნო მამულის შოვნას მოახერხებს გლეხი მაშინვე წვრილ ნაწილებათა ჰყოფს თავის მრავალ რიცხვია ნათესაობასთანა, ამისაგან მამულს მოგება არ მოაქვს და იმის სიგლახაკესაც შველა არ ეძლევა. ფაბრიკულ ხელოსნობაში შესვლისათვის ყოველივე ღონისძიება იმას წართმევია და რა გასაკვირველია, რომ ირლანდიის გლეხებს უნიჭობა თან და თან ემატება და იმათ აგრეთვე ანგლიისადმი მძულვარება. რა ღონისძიება მოაქვს ანგლიის ეხლანდელ სამინისტროსა, რომ ეს დიდი ხნის უბედურება მოსპოს? ერთი იმათგანი ითხოვს, მოხიზნეობის შეკრულობის წერილსა. აქამდის მამულის მეპატრონეს თვით მნებელობით შეეძლო მოხიზნის მამულიდგან გაგდება, რადგანაც ამ ორთა შორის არა ვითარი კანონიერი შეკრულობა არ იყო: საკვირველია, რომ ამ გვარი ბოროტება ამ ენს ხანსა ყოფილა და ეხლა მაინც სანუგეშოა, რომ ამას ბოლო ეღება. მეორე ღონის ძიება უფრო შესანიშნავია: სამინისტროს ჰაზრი მოაქვს

შეაშფოთა იმისმა წინ დგომამ, პურმა და ხორცმა.

—რ გინდა? უკმეხათ უთხრა ბოლოს ქლოდმა.

—შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს, კრთომით უპასუხა ქლოდს ყმაწვილმა კაცმა.

—რა არის?-ქლოდმა ჰკითხა.

—ამის შეჭმაში მომეხმარე. ეს ბევრია ჩემთვის. ქლოდს თვალიდგან ცრემლი გადმოვარდა. იმან აიღო დანა, გასჭრა შუაზე ახალგაზდა ტუსაღის კერძი, ნახევარი წაიღო და ჭამა დაუწყო.

—ბმადლობ—უპასუხა ახალ-გაზდა ყმაწვილმა თუ გინდა ყოველდღეს გავიყოთ ხოლმე ჩემი კერძი,

—რა გქვია? უთხრა ქლოდ ბომ.

—ალბენ.

—აქ რათა ხარ?

—ქურდობისათვის.

—მეც ქურდობისთვის დამატუსაღეს, უთხრა ქლოდმა.

მართლაც ყოველ დღე იყოფდნენ ხოლმე ალბენიის კერძსა. ქლოდ ბო ოცდა თექვსმეტი წლისა იყო და ზოგჯერ ისე ხნიერათ ლაპარაკობდა და სჯიდა, რომ სწორეთ ორმოცდა ათი წლის გეგონებოდა; ალბენი ოცი წლისა იყო, სახით კი ჩვიდმეტის წლის მეტისას არა ჰგვანდა, ისე ნორჩი შეხედულობა ჰქონდა. ეს ორი ტუსაღი დამეგობრდნენ და იმათი მეგობრობა მამაშვილურს მეგობრობას უფრო ემგზავსებოდა, ვიდრე ამხანაგების კავშირსა. ალბენ ჯერ თითქმის ყმაწვილი იყო და ქლოდი მოხუცი.

ისინი ერთს სახელოსნოში მუშაობდნენ, ერთ ჭერ ქვეშ ეძინათ, ერთ ეზოში დასეირნობდნენ და ერთს პურს სჭამდნენ. ისინი იყვნენ ერთი მეორის სიცოცხლე. როგორც სჩანდა, ბედნიერათ ცხოვრებდნენ, სახელოსნოების დირექტორი ჭირვეთ სძულდათ ტუსაღებსა და ის ხშირად სთხოვდა ხოლმე ქლოდ ბოს, რომ ტყის შემწეობით დაემშვიდებინა თავ-ახსნილი ტუსაღები. როცა სატუსაღოში ვრეულობა შოხდებოდა, ხშირად დიდს შეწეობას ეძლევდა დაუმტკიცებელი უფლება

1) „სახელმწიფო კრედიტის ბილეთები უზრუნველ იყოფება მთელი სახელმწიფო ქონებითა და ყოველს ჟამს შეუჩერებელ-დაცვლითა ლითონის ფულზე, რომელიცა წინათვე განწესებული ფონდიდგან გამოიტანება“.

2) კრედიტის ბილეთებს, როგორც სხვა ვეცხლის ფულს, ისეთი ფასი ექმნება მთელს იმპერიაში.

3) „ყალბი კრედიტის ბილეთების მოჭრისათვის—დამნაშავეთა ყოველი გვარი ქონებითი სიმართლე ჩამოერთმევათ და გაიგზავნებიან კატორგაში სამუშაოთ“.

ბილეთის ძირს ხელმწიფის სურათის ქვემოთ დაბეჭდილია ციფრები, რომელნიცა წელიწადს აჩვენებენ.

ბილეთის შუა გულზე არის დაბეჭდილი მეფის ალექსი მიხაილის ძის სურათი მოგძო სამხაზიან რგოლში, რომელიც გავსებულია სლოვენური ასოების ზედ წარწერითა: „ალექსი მიხაილის ძე, ხელმწიფე, მეფე და დიდ მთავარი, მთელის და მცირე რუსეთის თვითმპყრობელი“.

პოლიტიკა.

ანგლია.

წინათვე დაწყობილი ბაასი ირლანდიის საქმეზე ანგლიის პარლამენტის ქვემო პალატაში გვიმტკიცებს ზედ მიწვენითა, რომ საქმე იმისთანა საფუძვლით ძნელათ გადასწყდება, რომ ამ უბედურ მხარის მშვიდობიანობა დამყარდეს. ცვლილება მაშინ იქმნებოდა ნამდვილი, რომ ადგილ-მამულის პატრონობას და ანგლიის ეკკლესიისა საკუთარ პრივილეგიას შეეხებოდა. მაგრამ არ შეიძ-

---

კლოდისა დამტკიცებულს მთავრობის უფლებას დირექტორისას. ქლოდის ათს სიტყვას იმდენი გავლენა ჰქონდა ტუსაღებზე, რამდენიც შეიარაღებულს ათს ჟანდარმსა. ამისთანა შემთხვევაში ქლოდს ბევრი ამაგი ჰქონდა დირექტორზე და იმან კი იმისთვის უფრო შეიძულა ქლოდი. იმას ეხარბებოდა. ბულის სიღრმიდგან აეგზნო დირექტორს დაფარული და ხარბი მტერობა ქლოდზე, მტერობა სჯულით დამტკიცებული უფროსისა, საქმით გამხდარს უფროსზე.

ამისთანა მტერობა ყველაზე უარესია. ქლოდს უყვარდა ალბენი და დირექტორს ყურადღებას არ აძლევდა.

ერთხელ, დილით ყარაულებს სატუსაღოებიდგან ორორათ გადაჰყავდათ ტუსაღები სახელოსნოებში. ერთმა მცველმა მიიხმო ალბენი, რომელიც ქლოდთან იდგა:

— დირეკტორი გეძახის.

— რათ ეძახის? ქლოდმა ჰკითხა.

— არ ვიცი, უპასუხა მცველმა. მეტუსაღემ წაიყვანა ალბენი.

— დილა გავიდა. ალბენი სახელოსნოში აღარ მოსულა. ქლოდს ეგონა, რომ სადილობის ჟამს ალბენს ეზოში შეეხვდებიო მაგრამ იქაც არ იყო. სახელოსნოში დაბრუნდნენ. ალბენ არსად ჩნდა. ეს დღე ასე დაღამდა. საღამოს, როცა ტუსაღები საპყრობილეში შერეკეს დასაძინებლათ, ქლოდი ათვარიელებდა ალბენსა და ვერსად დაინახა. ალბათ ქლოდ ბო ძალიან შეწუხდა, ამიტომ რომ ის დაელაპარაკა მეტუსაღეს. უწინ არაოდეს არ დალაპარაკებიყო იმასა.

— ალბენ, ავათ ხომ არ არის? ქლოდმა ჰკითხა.

— არა. — მეტუსაღემ მიუგო.

— მაშ, დღეს რატომ ჩვენთან არ იყო?

— იმიტომ რომ მეორე სატუსაღოში გადიყვანეს.

შემდეგ, როცა მოწმებს ჰკითხავდნენ ამ ამბის შესახებ, სთქვეს, რომ მეტუსაღეს სიტყვებზე ქლოდს ხელი აუკანკალდაო და კინაღამ ანთებული სანთელი ხელიდგან გავარდაო. მაგრამ ქლოდმა მაინც დამშვიდებით დაუწყო კითხვა-

---

— ვინ გასცა ბრძანება?

— უფ. დ.-მეტუსაღებ უპასუხა.

— უფ.დ.—იყო სატუსაღოს დირეკტორი.

მეორე დღეს, როგორც წინეთ, ალბენი არ სჩანდა. საღამოს, ვიდრე მუშაობა გათავდებოდა, დირეკტორი ჩვეულებრივ მივიდა სახელოსნოში დასახედავათ.—

ტუსაღები იმ აზრის იყვნენ, რომ თუ ტუსაღს კურტკის ღილები შეკრული აქვს, უფროსი ამას სასიამოვნოთ მიითვლისო, ამიტომ ქლოდმა შეხედა თუ არა დირექტორსა, მოიხადა ქუდი, შეიკრა კურტკის ღილები, დადგა თავის სკამთან და უცდიდა დირექტორის მოახლოვებას. დირეკტორმაც გაიარა.

— უფალო დირექტორო!-სთქვა ქლოდმა.

დირექტორი შეჩერდა და გვერდზე შეხედა ქლოდსა.

— ალბენი, მართლა მეორე განყოფილებაში გადუყვანიათ?—ბანაგრძელა ქლოდმა.

— დიახ,-მიუგო დირექტორმა.

უფალო დირექტორო, ალბენი მიმსუბუქებდა მე სიცოცხლესა. თქვენც მოგეხსენებათ, რომ აქაური ულუფა არ მყოფნის და ალბენი მიყოფდა ხოლმე თავის კერძს.

— ეს მისი საქმეა, უთხრა მას დირექტორმა.

— არ შეიძლება ერთ განყოფილებაში გვამყოფოთ მე და ალბენი?

— შეუძლებელია. ეს საქმე გადაწყვეტილია.

— ვისგან?

— ჩემგან.

— უფალო დირექტორო! განაგრძელა ქლოდმა,—ჩემი სიცოცხლე ანუ სიკვდილი ალბენზეა დამოკიდებული და ეს თქვენ ხელშია...

— მე არასოდეს არა ესცალი ჩემს გარდაწყვეტილებას.

— უფალო დირექტორო, ხომ არა დამიშავებია რა თქვენ წინაშე?

— არა.

მაშ ალბენს რათ მომაცილეთ.

—ისრე—ვ რმოსთქვა დირექტორმა, და ამნაირ დასაჯრებელ დამტკიცების შემდეგ ჩაიარა.

ქლოდმა ძირს დაქინდრა თავი და არას ლაპარაკობდა. ის ემგზავსებოდა გალიაში დაწყვდეულ ლომს! მას საყვარელი ძაღლი წაართვეს.

უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ალბენის მოცილებამ ძალიან შეაწუხა, მაგრამ საოცარი მადა მაინც არ მოჰკლებია. საზოგადოთ ქლოდში არაფერი შესანიშნავი ცვლილება მომხდარა. ის თავის ამხანაგებთან არასოდეს არ ახსენებდა ალბენსა. დასვენების დროს სეირნობდა ეზოში და... ითმენდა შიმშილსა. ეს იყო და ესა. მაგრამ ვინც იცნობდა მის ხასიათს, ხედავდა, რომ ქლოდის სახე თან-და-თან იქუშოდა. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ ქლოდი არას ოდეს არ ყოფილა ისე მშვიდათ, როგორც ამ დროს.

მრავალს ვის ამხანაგებს უნდოდათ გაეყოთ ქლოდისთვის თავიანთი კერძი, მაგრამ ქლოდმა ღიმილით უარი სთქვა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოხიზნის დათხოვნის დროს მამულის პატრონმა ყოველივე ხარჯი დაუბრუნოს, რაც მოხიზნეს მამულის გასაკეთებლათ უხმარია. ეს მოთხოვნილებაც ძალიან მართალია: მოხიზნეს როგორ შეუძლია ცოტა-ოდე მაინც გააკეთოს თავისი ჭირნახული, თუ კი არ იცის ხელში შერჩება სახაზინო მამული თუ არა,— და თუ კი თავის ყოფაცხოვრებას იმას გადაგებს რა სამართალია, რომ მას შემდეგ თითქმის ერთის ჭირვეულობით მოხიზნე მამულიდგან გაგდონ. სამინისტროსაგან მოფიქრებული ღონისძიება ეს არის და უარის თქმა არ შეიძლება, რომ მოხიზნეთ მდგომარეობა ამით არ შემსუბუქდეს, მაგრამ საზოგადოთ გლეხობის მდგომარეობას ეს ღონის ძიებაები გააუკეთესებს თუ არა? ამ ღონისძიებათაგან უნდა მოველოდეთ თუ არა საფუძვლიან აღმოფხვრას იმ ბოროტებისას, რომლის განაც რამდენიმე საუკუნე ირლანდია იტანჯება. საპოლიტიკო კაცები არიან ირლანდიაში. ისინი დაუფიქრებლივ იტყვიან ამაზე არაო. ბამოჩენილი ეკონომისტი და ფილოსოფოსი ჯონ სტუარტ მილლი და აგრეთვე ბრაიტი გამოვიდნენ საფუძვლიანის ცვლილების მოხდენის მომხრენი. მილლის პლანია, რომ ხაზინამ დიდ ნაწილობით და თითქმის ძალის ძალათ მამულები შეისყიდოს და მერე ნაკლებ ფასათ ირლანდიის გლეხობას მიჰყიდოს და ანუ ხანგრძლივის ვადით სახიზნოთ მისცეს. ბრაიტს ეს ჰაზრი მოაქვს, რომ თუ ვინიცობაა ახლანდელ მამულის მებატონეები და მოხიზნეები თავიანთში მორიგდნენ მამულის ყიდვაშია, მმართებლობამ მოხიზნეებს შესაწევი ფული მისცეს იმისთანა ფულის სარგებლითა, რომ 35 წლის განმავლობაში ამ სარგებლის ძლევით, მერე მამული იმათ საკუთრებათ შეიქნეს. რასაკვირველია ამ გვარი ღონისძიებანი საუძველიან ცვლილებას მოახდენდნენ ირლანდიის ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერითა სჩანს, რომ ამას პარლამენტი ძალიან ეწინააღმდეგება.

თუ ადგილ-მამულის პატრონობის საქმე ირლანდიაში ისე დარჩა, მეორე საქმე ანგლიის ეკკლესიის განსაკუთრებულ პრივილეგიის შესახებ უნდა როგორმე გადასწყდეს. ლიბერალურმა პარტიამ ბლადსტონის წინამძღოლობით ამ საქმეზე ძლიერი აგიტაცია მოახდინა და ხალხის სიმრავლეში შემწეობა აქვს მოპოებული. რასაკვირველია მეორეს მხრით კონსერვატორები ყოველსავე ღონისძიებასა ხმაროობენ, რომ ეს ძველი დაწესებულება დაიცვან. ანგლიის ეკკლესიას ისეთი მდგომარეობა უჭირავს, რომ თუმცა ანგლიაში სრული თავისუფლებაა ყველა სარწმუნოებისა, მაგრამ სხვა ეკკლესიებს იმასთან შეცილება არ შეუძლია. ერთი ნემეცის მწერალი ამბობს: „კათოლიკე ეკკლესიასავით ანგლიის ეკკლესია მხოლოთ ერთათ ერთია, და ამისთვის თავის გვერდით სხვა სასულიერო საზოგადოებას ვერ ითვისებს. ანგლიის ეკკლესიის რეფორმაცია (ცვლილება) არის ანგლიის პროვინციების ეკკლესიათა გამოსვლა რომის დედა-ეკკლესიისაგან. თავის ხალხობრივი თავმომწონეობისაგან ანგლიელები იმ ჰაზრს ვერ შეითვისებენ, რომ უცხო ქვეყნის ხელმწიფე (რომთა პაპი) ანგლიის სასულიერო საქმეებში ერეოდეს.“ ანგლიის ეკკლესიამ მეთექვსმეტე საუკუნეში ყოველივე ერთობა შესწყვიტა რომთანა, ეკკლესიის თავათ პაპის მაგიერათ კაროლი აღიარა, მაგრამ დაარჩინა კი ბევრი კათოლიკური წირვა-ლოცვის რიგი და აგრეთვე სამღვდელო ხარისხობა. სამღვდელოთ მაღალ ხარისხების დარიგებაში ძალიან სუსტი მხარე სჩანს. არისტოკრატია (დიდკაცობა) ანგლიის ეკკლესიას უყურებს, როგორც თავის სამკვიდროსა. არისტოკრატია მთავრობის შუამავლობით, რაც ადგილები მმართებლობის ხელშია მაღალის სამღვდელოსი და ეპისკოპოზებისა, სულ თავის მომხრეებს და თავის წევრებს ურიგებს. არისტოკრატიის გვარის უმცროს შვილებისათვის იმაზე უკეთესი ანგლიაში არ არის, რომ სამღვდელოთ შეიდნენ და შემდეგ კაი დიდი შემოსავლიანი სამღვდელო თანამდებობა მიიღონ. ამ ახლო ხანებში ბრაიტი ამბობდა: „ანგლიის ეკკლესია—არის თავიანთი ეკკლესია და ისიც ცოტათ თავის. ამ ეკკლესიის მომხრენი არიან მაღალი და დაბალი თავად-აზნაურობა და გამოჩენილი შემძლებელნი: ხალხისათვის მარტო ღარიბი სამღვდელოება ზრუნავს და არა მაღალი წოდების სამღვდელოება. ამისათვის ღარიბი ხალხი სარწმუნოების საქმეს გულგრილათ ეპყრობა.“ საკვირველი არ არის რომ ბლადსტონის წინადადებას ძალიან ეწინააღმდეგებიან კონსერვატორების პარტია და ეხლანდელი სამინისტრო. საქმე იმაზეა, რომ ანგლიის ეკკლესიის პრივილეგიას გაუქმდეს; ცხადია, რომ ამისაგან ძალიან დაეცემოდა. კონსერვატორების არისტოკრატიული პარტია ერთ ხმით იცავს ანგლიის ეკკლესიის უფლებასა, რადგანაც ამასთან შეერთებულია იმისი საკუთარი საქმე, იმისი სარგებლობა და გავლენა. ამ მოძრაობაში ჰხედავს დემოკრატიულს მოწადინეობასა, რომელიც თან და თან ანგლიაში ერცელდება. პარლამენტის ცვლილების მოხდენაში არისტოკრატიამ რომ დაუთმო, იმედი ჰქონდა რამდენსამე ხნის განმავლობაში უზრუნველათ მოვისვენებო; მაგრამ იმედი არ გაუმართლდა.

შეერთებული შტატები.

პრეზიდენტის ჯონსონის მოწვევა სამართალში. მოგვაქვს ის უწყება, რომლითაც პრეზიდენტი მიწვეულია წარუდგეს სენატსა თავის გასამართლებლათ: შეერთებული-შტატების სენატი ანდრუ ჯონსონს, პრეზიდენტს ამერიკის შეერთებულის შტატებისას: მიღებულ იქმნა რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთ პალატამ შეიტანა სენატში, მარტის 4-სა ბრალსადები პუნქტები თქვენ, ანდრუ ჯონსონის წინააღმდეგი და ითხოეს, რომ თქვენ მოწოდებულ იქმნათ თქვენზე ბრალის დებაზე პასუხის მოცემისათვის და ითხოეს რომ კანონისა და სიმართლის მოთხოვნილებისამებრ დაიწყებოდეს გამოძიება, პროცესსი და განსამართლება, ამისათვის თქვენ მოწვეული ხართ წარმოსდგეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სენატის წინაშე, რომელიც შეკრებილია ქალაქს ვაშინგტონში, 12 მარტს, შუადღის შემდეგ პირველ საათზე, რათა პასუხი მოსცეთ ბრალ-სადებ ყოველ პუნქტებზე და დამორჩილდეთ ყოველსავე ბრძანებასა, განკარგულებასა და განაჩენსა, რომელსაც მოახდენს სენატი შეერთებულ შტატების კონსტიტუციის და კანონის ძალითა. ყოველივე აქ მოხსენებული შემოწმებულია უმაღლესის სამსჯავროს პრეზიდენტისაგან და შეერთებულ შტატების სენატის პრეზიდენტისაგან. იქმნა ქალაქს ვაშინგტონს, 6 მარტსა, წელსა ქრისტესშობიდგან 1868, შეერთებულ შტატების თავისუფლების დამკვიდრებიდგან 91-სა.

პროცესსი პრეზიდენტის ჯონსონისა. მარტის 1 (13)-ს შეერთებული შტატების სენატი შეიკრიბა, როგორც სამსჯავრო—უმაღლესის მსაჯულის ჩეზის თავსმჯდომარეობითა, რომ განიხილოს პრეზიდენტის ჯონსონის პროცესსი. ჯერ წაიკითხეს ჯონსონის თავის დასაცველი სიტყვა, რომელშიაც ჯონსონი ამბობს, რომ ბრალსადებ პუნქტების გაშინჯვას შემდეგ საჭიროთა ჰრაცხს სთხოვოს სენატსა ორმოცი დღე პასუხის მიცემის მოსამზადებლათა; ამ ვადაზე ადრე პასუხის მიცემა იმას ვერას ღონისძიებით ვერ შეუძლია. დეპუტატების პალატამ მოითხოვა, რომ განსამართლება, დაუყოვნებლივ მოხდეს; მაგრამ სამსჯავრომ გადასწყვიტა 26 ხმის ჭარბობით 25 ხმის წინააღმდეგ, რომ რამდენსამე ხანს დააყოვნოს პროცესსის განხილვა და 40 ხმის ჭარბობით 10 წინააღმდეგ მიუწერა პრეზიდენტ ჯონსონს, რომ მარტის 11 (23)-მდისინ სამსჯავროში შეიტანოს თავისი პასუხი. რაკი ეს პასუხი სამსჯავროში შევა, მაშინვე იმისი განხილვაც დაიწყება.

ტელეგრამმები.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 29 მარტს. „რუსის ინვალიდი“ სამხედრო სამინისტროს ბუჯეტის (შემოსავალ ჭგასაელის სიის) მომატებას ხსნის პურის ფასის აწევით: ანგარიში ბეჯითად სამშვიდობოთ არის შედგენილი და სრულებით აზრში არა აქვს ჯარის მომატება და არა ჩვეულებრივი შეიარაღება.

პეტერბურგი, 2 აპრილს. პსკოვის გუბერნატორი ოლბუხოვი მინისტრის ტიმაშოვის უმცროს თანაშემწის თანამდებობის ამსრულებლათ დანიშნეს.

პარიჟის ბირჟა აშფოთებულია საპოლიტიკო მიზეზებისგამო.

პეტერბურგი, 5 აპრილს. მუნხენში მოხდა დუელი პარიჟში მყოფს რუსის ელჩს ბუდბერგსა და ბარონ მეინდორფს შუა. ბუდბერგი ცოტათ დაიჭრა.

პეტერბურგი, 5 აპრილს. სპარსეთის მთავრობამ გამოაცხადა დეპეშათა კრებული, რომელნიცა შეგროვდა სპარსეთსა და ოსმალეთ შუა სიტყვა-პასუხის მიცემით, იმის გამო რომ ოსმალეთლებმა სპარსეთის საზღვარზე ძალდატანება და ცარცვა-გლეჯა მოახდინეს.

ქიზიყელები ინგილოებში.

(გაგრძელება).

აქ რომ ფოშტის ფულის მოკრეფის დრო მოვა, ხალხი უთუოთ ერთი აწიოკდება და მრავალი მათგანი ზაქათალის მაზრაში მორბის, რომ რა არის ფული იშოვოს მისაცემი. აქ ის ინგილოს ჰპირდება, რომ ყანაში ან სხვა საქმეში უშველის, თუ კი ეხლა მას ხელს გაუმართავს ფულით. ამ შემთხვევაში ისიც ფულს ერთს ორათ აძლევს ბარათის ჩამორთმევით. აგრეთვე მოვლენ ხოლმე თავიანთ ეკკლესიების დღეობებისთვის ღვინის საშოვნელათა. სამი წელიწადია, რაც სიღნაღის უეზდში სეტყვა აფუჭებს ღონის მოსავალს. ამის გამო იქ ღვინოს ადვილათ ვერა შოულობენ ხოლმე მცხოვრებლები თავიანთ საჭიროებისათვის. ეს არის მიზეზი რომ სირაჯები აი რაოდენიმე წელია, რაც აქ ჰყიდულობენ ვენახებს ღვინოებისათვის და გააქვთ სავაჭროთ. მაგრამ აქედგან გატანილი ხუთი ექვსი საპალნე ღვინო რათ ეყოფა ქართველ კაცს. მისი ყანყრატო ძლიერ სქლათ უშვებს ღვინოს მუცელში. აი ეს არის მიზეზი, რომ ქიზიყელებს ღვინო არა რჩებათ დუქნებში დღეობებისთვის და ინგილოებში მოდიან მის საშოვნელათ. წლეულს წმინდა ნათლის მცემლობის და მღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიების დღეობებისთვის ღვინის საშოვნელათ ფანიანელები და ბოდბის—ხეველები ინგილოებში დადიოდნენ. იმათ ჰსურდათ აქ ღვინოზე ემუშავნათ და ბევრმაც იშოვნა ამ გვარათ ღვინო და წაიღო. აბა ეკკლესიის დღეობას თუ იმათ ღვინო არ გადაპრუწეს, როგორ შეიძლება, ეკკლესია დაემდურებათ. მაშ, დღეობებში სიმთვრალე უნდა, რომ იმათ „ბახუსის“ ღმერთს ესიამოვნოს. მე როგორც მიამბეს, დამარწმუნეს ღვინოზე სამუშაოთ მოსულმა გლეხებმა, უამისოთ არ შეიძლება, რადგან მათში ეს ძლიერ დიდი შემარცხვენლობაა. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენო, მკითხველო, რომ იგივე ხალხი, რომელიც დღეობას თუ არ დაესწრო არ შეიძლება, ძლიერ გულ-გრილი არის სარწმუნოებაზე. ესენი ამით მთლათ ინგილოებსა ჰგვანან, რომელთაც აგრეთვე ყურ ქვეშაც არ მოსდით არც ერთი სარწმუნოება. ამათ ორივეს აზრით, რომელი ხალხიც ძლიერი და მძლავრია და ცხოვრება გაამაყებული და გათამამებული აქვს, იმისი სარწმუნოება ყველა ხალხის სარწმუნოებაზე უმჯობესია.

რას ჩამოგვეკიდა ეს დალოცვილი ინგილოო? ვგონებ უსიამოვნებით ამბობს ჩემზე მკითხველი ქიზიყელი და მიწყრება, რომ მე მის ჭუჭყს, სისუსტეს, სიდამბლავეს საქვეყნოთ ვაცხადებ. ნეტავი შეგვატყობინა, რაზე ჩამოგვმტერებია ასრე უწყალოდ ეს ვილაცა ინგილოა? ვგონებ, ამბობს გაშფოთებული ქიზიყელი. ამის შეტყობა, ვგონებ, ჰსურთ აგრეთვე ზოგიერთს „დროების“ მკითხველებსაცა. რადგანაც მე თქვენ ორივეს შეგატყეთ სურვილი ამაების შეტყობისა, ჩემზე გამწყრალო ქიზიყელო და შენ „დროების“ მკითხველო, ამისათვის მე გამოგიტყდებით და გეტყვით: მე არავისი მტრობა არა მაქვს; მე ქიზიყელები ისრე მიყვარან, ვითარცა ჩემი საკუთარი ძმები, და რადგან ჩემი სიყვარული მათდამი ძმურია და მეგობრული, ამის გამო ძლიერა მსურს, რომ ამით ქიზიყელები შეევარცხვინო და მოვაქციო; მე მსურს, რომ ქიზიყელმა ჭკუა მოიპოვოს, სიწმინდე და სისუფთავე შეიყვაროს, ცხოვრება გაიუმჯობესოს და გაიფაქიზიანოს. მაგრამ რადგან მე ვიცი, რომ თქვენ არ დამერწმუნებით, მე გავბედავ მოგახსენოთ ორი გონიერული ანდაზა: „მოყვარეს—პირში, მტერს პირს უკანაო; მოყვარეს თვის პირს უკან მთქმელი ეშმაკის მოციქულიაო.“ მაშასადამე ქიზიყელო მე შენი თავი მიყვარს, რომ გეუბნები ყველაფერს და საქვეყნოთაც ვაცხადებ. მართლაც, შენ რომ ეხლა კლდის ნაპირს იდგე და ის მიწა ინგრეოდეს და შენ გექადოდეს კლდეში გადაგდებას და მოკვლას, მე ეს ვიცოდე, მაგრამ შენგან დავფარო, არ შეგატყობინო და არ გაგაფთხილო, ამით მე შენ სიყვარულს დაგიმტკიცებ, თუ მტრობას? როგორ ფიქრობ ქიზიყელო? შენი არ ვიცი, მე კი გიპასუხებ, რომ შენ ამ შემთხვევაში მტრობას გაგიწევდი, ამისათვის რომ შენი დალუპვის ყასტში ვიყავი; თუ ეს არა მსურვებოდა, მე შეგატყობინებდი და მოგაშორებდი საშიშრო კლდის ნაპირს. აი, ქიზიყელო, შენი საქმეც სწორეთ ესე არის. შენ თუ ეხლა შენი საშიშრო მდგომარეობა არ შეგვატყობინე და საქვეყნოთ არ გამოვაცხადე, მე ამით დიდ მტრობას გაგიწევ, რადგან შენი ავათმყოფობა არავის არ ეცოდინება და არც შენთვის წამლობას ვინმე ეცდება; ამისაგამო შენი ჭირები ისრე მოგერევიან, რომ უგეზოუკლოთ დაიღუპები. მაშასადამე რაც დამრჩა შენზე სათქმელი ესენიც რომ წარმოვთქვა, ძლიერ სახეირო და სასარგებლო იქნება შენთვის.

რიცხვი ინგილოს კაცებისა მეტობს დედაკაცების რიცხვზე. როგორც ეტყობა ზაქათალის მაზრაში მამაკაცების მოსავალი სჯობია დედა-კაცების მოსავალს. აქ თითქმის ყოველს სოფელში მამრი უფრო მეტი იბადება, ვიდრე მდედრი; ამასთანავე მდედრი უფრო მეტი იხოცება ვიდრე მამრი. ეს არის მიზეზი, რომ ყოველი ინგილო ვერ აკმაყოფილებს ცოლის შერთვით თავის სურვილს. ამის გამო ის რომ თავიანთ შორის ვერ შოულობს ქალს შესაერთავათ, მაშინვე დაუყოვნებლივ ქიზიყს მიჰმართავს ხოლმე. ქიზიყელები რადგანაც საზრდო საცხოვრებელი ამათ ქვეყანაში ნაკლებათ მოდის, სიხარულით მიათხოვებენ ხოლმე ინგილოს ქალს, მაგრამ იმისთანას, რომელიც ან ობოლია, ან ყრუ, ან უმზითვო; ერთის სიტყვით ისრეთს, რომელსაც არ შეუძლიან თავიანთ ქვეყანაში გათხოვება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი იმათ ქალებს არ მიათხოვებდნენ, თუ რომ ხელ-ნაკლებნი არ იყვნენ. მაგრამ ეს ძლიერ ცუდია და მათი დიდათ შემარცხვენელი, რომ ისინი, რომელნიც არავარგნი ქალები არიან, აქ ათხოვებენ. თუ ათხოვებენ კარგები უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოათხოვონ, რომ თავი ისახელონ კარგებით, თუ არა და სჯობია სრულებით არ გამოათხოვონ; პირველად ამისათვის, რომ ისინი ქიზიყს არცხვენენ, მეორეთ ამისათვის, რომ ეს უბედური ქალები ყველაფერს დაურიდებლათ სჭამენ და იხოცებიან. ჯერ აქამდე არ ყოფილა მაგალითი, რომ რიგიან კაცს აქაურს გლეხისათვის რიგიანი ქალი მიეთხოვებინოს. რომელიც ობოლი და ქვრივია წვრილი შვილებით ღვთის ამარათ დარჩენილნი, ისეთებს აძლევენ ინგილოებს. ჭვრიეს რომ გამოათხოვებენ, მაშინ მას პირველ ქმრის შვილებსაც თან გამოაყოლებენ ხოლმე, რადგან ამ ყმაწვილების გამოკვება ძლიერ იძნელებათ. ამის შემდეგ ამ ყმაწვილების პატრონები, ცოცხალნი არიან ისინი თუ არა, არაოდესარ მოიკითხავენ, თუნდ იმათ თათრობაც მიიღონ. მესამეთ ამისთვის უნდა, რომ რამდენიც უფრო და უფრო არვარგი და ცხოვრებაში გამოუსადეგი ქალები თზოვდებიან, იმდენათ ინგილოები რწმუნდებიან, თუმცა საფუძველოთ, რომ ქიზიყის ხალხი გამოუსადეგი და არვარგია. ამის გამო აქაური ხალხები, ლეკები, ინგილოები და სხვ. მათ პატივს აღარა სცემენ, დაახლოების მაგივრათ უფრო ჰშორდებიან; აღარც კაცს კაცად რაცხვენ, და არც დედაკაცს დედაკაცათ. ზარდა ამისა, რადგანაც ქიზიყელებს ხედვენ, რომ ისინი ბევრათ ნაკლებნი არიან თავის ვაჟკაცობით აქაურს კაცის ვაჟკაცობაზე, ამისათვის მთელს ქართველებზე ამბობენ, რომ ჩვენ დროს ამათსავით სუსტი და დამბლა ხალხი ქავკაზეთში აღარ იპოვებაო, თუმცა უწინ ძლიერ გათქმულნი ყოფილან თავიანთ ვაჟკაცობითო. მათი აზრი, რასაკვირველია, უსაფუძვლოა, მაგრამ ეს კი არის, რომ ეხლა აქ მუსურმნობა უფრო ერცელდება, ვიდრე ქრისტიანობა. აი ამ გვარათ ჩვენი ქიზიყელები თავიანთ ლაჩრობით ამცირებენ მთელს ქართველს ნაციას. ტყუილათ ხომ არ არის ნათქვამი, რომ „ციხე შინიდამ გატყდებაო“.

იქნება ოხუჯმა და ლაზღანდარა ქიზიყელმა, ვითომც ჩემს გამოსაჯავრებლათ, სთქვას: ჩვენი რა ბრალიაო, თვალები სადაგაქვთო, რათ მიგყავთ არვარგი ქალებიო? ჩვენ ყოველთვის იმასა ვცდილობთო, რომ ყოველი არვარგი ქალი და კაცი სულ თქვენ ქვეყანაში გამოვგზავნოთო; ჩვენთვის ოხრები და ღარიბები საჭირონი არ არიანო; ისინი რომ შევინახოთო, ჩვენ ზარალის მეტს აბა რას გვარგებენო? ამისათვის ყოველს არვარგს, ყრუს, ბლუს, ასონაკლებს ყველას თქვენ ქვეყანაში ვგზავნითო; თქვენ მაინც გაკლიათო. ჩვენ მათი გამოკვება არ შეგვიძლიანო, რადგან ჩვენ ქვეყანაში უსმენლობა არის. ზარდა ამისა ისინი ჩვენში მეტნი არიან, თქვენ კი გაკლიათ და უმზითვოთაც თხოულობთ;ამასთანავე პირ იქით ფულებსაც გვაძლევთ.—მეც, შენ ჩემო მეპასუხე ქიზიყელო, ნუ გამიწყრები, მსურს ამ შენს პასუხზე პასუხი გითხრა: მართალია, რომ ქიზიყელები ინგილოებში ქალებს ათხოვებენ ინგილოების ჩვეულების კვალობაზე, ესე იგი ფულებს იღებენ, მაგრამ იმდენს არა, რამდენსაც ინგილოები იღებენ, ოდეს ერთმანერთში მათ ათხოვებენ.ეს თქვენთვის გასახარელია, ამისთვის რომ ფულები გეძლევათ. მაგრამ ნუ შემიწუხდებით ერთ რასმე გიამბობ: ერთი სწავლული იყო, რომელსაც, თუ მეხსიერება არ მატყუებს, სახელათ მალტუსი ერქვა. ამ მეცნიერმა სთქვა, რომ „ღარიბი კაცი სჯობს მოიკლასო, რადგან მის აზრით კაცს, რომელსაც საჭმელი არა აქვს, სჯობს მოკვდეს.“ ამან რა საკვირველია ეს ძლიერ უსაფუძვლოთა სთქვა, და ამისათვის კიდევაც არ გადურჩა გაიცხვას ამ გვარ მხეცური აზრის წარმოთქმისათვის. თქვენი აზრიც ამ კაცის აზრთან თანასწორია. თქვენი პასუხიც იმას აცხადებს, რომ რადგანაც ჩვენ საკვებავი ყველასთვის სამყოფი არ მოგვდისო, ამისათვის, რაც საჭმელზე მომეტებული ხალხი გვყავსო, თუნდ კარგები იყვნენ, თუნდ არაო, სულ თქვენ გაძლევთო. ჩემო ბატონო, ქიზიყელო, ნუ გამიწყრები ერთი კიდევ მაქვს შენს პასუხის თავობაზე სათქმელი. შენ ამ გვარ აზრებით და მოქმედებით მიემგზავსები იმ ველურს, გაუთლელს და გაუნათლებელს ხალხებსა, რომელნიც საზრდო საცხოვრებლით ღარიბნი არიან, და ამის გამო ჩვილები რომ დაებადებათ, რადგან საკვებავი არა აქვთ, მაშინვე ხოცვენ, და იმდენს ინახვენ, რამდენსაც იმათი ანგარიშით ეყოფა წლის განმავლობაში საჭმელი. მაგრამ ამეებს თავი დაანებოთ და წამოვთქვათ ის, თუ რამდენი აქვს ქიზიყს უსაჭმლობისა გამო ალალ-ბედზე და ღვთის ამარად გადმოტყორცნილი ინგილოებში ქალები და ვაჟები, რომელნიც თავიანთ უწინდელ ცხოვრებით, ჩვეულებით და მიმართულებით ბევრათ განირჩევიან, და ამისათვის აქაურს ცხოვრებას ვერ იფერებენ და იხოცებიან. სოფელს ქახში არიან ქიზიყელნი ხიზნათ: სამი კომლი. პირველს შეადგენს 5 სული, მეორეს 4 და მესამეს 3. ამათში 4 მდედრია. მხოლოდ ქალი კი ქიზიყელთაგან გამოთხოვილი კახში არის 29. ამათში ერთი ორი სამი თუ გამოირჩევა რიგიანი, თორემ სხვანი გამოუსადეგნი არიან, უფრო ამისათვის, რომ ამათ მიეულიათ აქაური ჩვეულებანი, ინგილოს კილოთი ქართულ ენაზე ლაპარაკი და ინგილოური ტანსაცმელი, რომელიც ძლიერ უსიამოვნო არის კაცისათვის დასანახავათ. ზოგი ამათგანნი ჯვარ დაუწერელნი არიან ინგილოებთან მხოლოდ იმისათვის, რომ ლუკმა პური იშოვნონ კუჭის გამოსაძღომათ. ამის გამო როდესაც ინგილოს მოჰბეზრდება იმისი შენახვა, მაშინ უსვინიდისოთ გაუძახებს ხოლმე თავის სახლიდგან, რადგან ეს მას მეორე ცოცხალს ცოლის დროს ჰყავნ და სახლში შემოყვანილი. სად მიდიან მერე ისინი? ხან ერთ ინგილოსთან, ხან მეორესთან, როსკიპობენ და კარ-და-კარ დაეთრევიან. ამათში რასაკვირველია ქვრივებიც ურევიან და ზოგიერთს ამათთაგანს ყმაწვილებიც მოჰყოლიათ. ქაცი იმყოფება კახში 24. მაშა სადმე კახში მცხოვრებ ქიზიყელების რიცხვი იქმნება 65. ინგილოთა კომლების რიცხვი კიდევ არის 250. სოფელს საკანში ცხოვრებს 8 კომლი ინგილო. აქ არის გამოთხოვილი 4 ქიზიყელი ქალი, სულ ჯვარ დაწერილები არიან; 3 კაცია და 5--ც ქალ-ვაჟნი დედათათვის მოყოლილნი. ჭამი იქნება 12 სული.—სოფელს ზაგამში 4 ქალია გამოთხოვილი. ერთს ინგილოს ამ ქიზიყელ ქალების ქმართაგანს, თავის ცოლს გარდა, თავისი სიდედრი მეორე გასათხოვარი ქალით, ესე იგი თავის ცოლის დით, სახლში ჰყავს. ამის გამო როგორც მიამბო მე ადგილობრივმა მღვდელმა, სიდედრს ჰსურს, რომ თავისი უმცროსი ქალი თავის სიძის შვილს მიათხოვოს, ესე იგი თავის ქალის გერს, შვილს იმ სახლშივე. ხიზანი 1-ა და კაცი 6.—სოფელს თასმალოში არის 2 ქალი, 3 ყმაწვილი და 3 კაცი. ამ ორ სოფელში მოკვდა ამ ორ წელიწადში (1866 და 1867) ქიზიყელი კაცი და დედაკაცი 6, სულ ციებ-ცხელებითა. სოფელს მეშაბაშში არის გამოთხოვილი ქიზიყელთაგანი 4 ქალი. ამათ თავიანთ მეტი აქ არავინა ჰყავთ. ქაცი არის აქ 3. სოფელს ალიბეგლოში არის ხიზნათ 1 კომლი, რომელსაც შეადგენს 7 სული და დგანან საყდრის ეზოში, ვითარცა ყარაულნი. ესენი პირის სახით გაყვითლებულს ნესვსა ჰგვანან და წლეულს ყველანი ციებ-ცხელებით იყვნენ ავათ, რის გამო ამათგან 2 მდედრი მოკვდა. მაგრამ ალიბეგლოში 1866 და 1867 წელიწადებში მომკვდარა 15 სული. ჭალი არის გამოთხოვილი 5. ამათ მოჰყოლიათ თავიანთ მონათესავეთაგანნი 3, რომელთაგანაც ორი მამრი მოკვდა. სოფელს ურალანში არის გამოთხოვილი 19 ქალი. ამათ მოჰყოლიათ 7-დი ყმაწვილი. ამ სოფელში ამ ორ წელიწადში მათგან მომკვდარა 8 ქიზიყელი, სულ ციებ-ცხელებითა. ქაცთაგან კიდე იმყოფება 9. ქალთაგანს ზოგიერთს თავიანთ ინგილო ქმრების ხელში მუსურმნობა მიეულიათ. რისა გამო მათი საქმე ეხლა გამოძიებაში არის მიცემული, და იმედი გვაქვს მისი ყოველადუსამღვდელოება საქართველოს ეგზარხი ევსევი ეცდება ეკკლესიისათვის მათ დაბრუნებას, ვითარცა შვილთა ბუნებითი ქართველთა. ამათგარდა სხვაგანაც არიან გამუსურმნებულნი და ყველანი ერთად შეადგენენ 8 პირსა. მაშასადამე ამ შვიდ სოფელში ამ ჟამათ მცხოვრებ ქართველების რიცხვი ერთად შეადგენს 159-ს. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო შეგვეტყო სულ რამდენი მოკვდა ამ შვიდ სოფელში 1866 და 1867 წლების განმავლობაში ქიზიყელთაგანი; მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ მე ეს ვერ შევიტყე. შევიტყე დაწვრილებით მხოლოდ ისა, რომ ოთხ სოფელში ზაგამში, თასმალოში, ალიბეგლოში და ურალანში 1866 და 1867 წლების განმავლობაში მომკვდარა სულ 31 სული. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე მეტნი არიან აქ მოსულნი და დახოცილები, და თუ მთელ ზაქათალის ოკრუგში მცხოვრებ ქიზიყელები აღვრიცხეთ, მაშინ ხომ, რასაკვირველია, მეტნი იქმნებიან და მეტნი.

(შემდეგი იქნება).

სამოსამართლო ქრონიკა.

მომრიგებელ მოსამართლეებთან სცენები პეტერბურგში.

მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ოლოვი 8 მარტს განიხილავდა ვექილობით ჟუროვსკის საძიებელ საქმეს „ბირჟ. ვედომოსტების“ რედაქტორთან ტრუბნიკოვთან. ამ საქმეში ჟუროვსკი იყო ტიმოთეევის ვექილი; ტრუბნიკოვის მაგივრათაც გამოცხადდა იმის ვექილი ქონსტანტინოვი

მომრიგებელი მოსამართლე (მეძიებელ ჰკითხავს). მითხარით რას იძიებთ?

ჟურავსკის ვექილი. წასულს წელს ბირჟევის ვედომოსტებისა № 99-ში რედაქტორმა ტრუბნიკოვმა დაბეჭდა ჩემი მრწმუნებელის პინეგიდგან მოწერილი კორრესპოდენცია. იმ დროს ის იქ ცხოვრებდა. ამ სტატიისთვის რედაქტორს აქამდის ფასი არ გაუგზავნია უფ. ჟურავსკისთვის, თუმცა აქამომდე შვიდი ბარათი მაინც მიუწერია იმისთვის. ამ ბარათების საგნათ ისიც იყო, რომ კორრესპოდენციის დაბეჭდვის შემდეგ ექვსი სხვა კორრესპონდენცია გამოეგზავნა რედაქტორისთვის. ეს სტატიები რედაქტორს არ დაუბეჭდავს. უფ. ჟურავსკი ძალიან ღარიბი კაცია. პირველ კორრესპოდენციისთვის ის სთხოვდა ფულებსა და სხვებისს უკან დაბრუნებასა, რადგანაც უნდოდა სხვა რედაქციაში გაეგზავნა, თუ კი ის არ დაბეჭდავდა. მაგრამ ჟურავსკის თავის ექვსს წიგნზე პასუხი არ მიულია. რაკი დარწმუნდა რომ წიგნის მიწერით არა გამოვიდოდარა, ჟურავსკიმ სთხოვა პეტერბურღის ობერ-პოლიციმეისტერს, რომ მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, გამოერთმია პირველი კორრესპოდენციის ფული და დაუბეჭდელი სტატიებიცა. რედაქტორმა უპასუხა ობერ-პოლიციმეისტერს, რომ „სტატიებში ფულის ძლევას ჩემ ვალათ არ ეხდიო“ და სხვა სტატიები კი დაუბრუნა.

მომ. მოსამართლე. მაშ თქვენ იძევთ, რომ ტრუბნიკოვმა დაბეჭდილ სტატიების ფასი მოგცეთ, ასე არ არის?

ჟურავ. ვექილი. დიაღ და ამას გარდა იმ ექვსი სტატიისთვისაც გადაახდეევინოთ. ეს სტატიები ამდენს ხანს ტყულა დარჩა რედაქციაში თავის დროის მნიშვნელობა დაჰკარგა; ასე რომ აღარსად იბეჭდება და ამ სახით ჟურავსკის შრომამ ტყულა ჩაიარა.

მომ. მოსამართლე. (ტრუბნიკოვის ვექილს). თქვენ რას იტყვით, მოწ. ხელმწიფევ, ამა ბრალის დებაზე? მართლა დაიბეჭდა ჟურავსკის კორრესპოდენცია „ბირჟევის ვედომოსტებში“ და ფასი არ მიუციათ?

ტრუბნიკოვის ვექილი. კარგათ არ მახსოვს, რომელს ნომერში დაიბეჭდა ჟურავსკის სტატია, მაგრამ ფული მართლაც არ მიუცია. იმდენი მასალები გვაქვს, რომ სულ ყველა სტატიებში ფულს არ ვაძლევთ. ამისგამო კიდეც ვიზარალებდით. ამას გარდა რედაქციამ პინეგის უეზდის ისპრავნიკისგან წიგნი მიიღო, რომლითაც აფრთხილებდა რედაქციას ჟურავსკის შესახებ; იწერებოდა, რომ კორრესპოდენცია ბევრგან მართლად არ ლაპარაკობს. ამ სახით ჟურავსკიმ შეარყია საზოგადოების რწმუნება ჩვენ გაზეთზე და ამის გამო ჩვენ თვითონ გვმართებს ძიება დავიწყოთ ჟურავსკიზე. ამას იქით ჟურავსკის რა სიმართლე აქვს ფასის თხოვნაზე?

მომ. მოსამართლე. ეგ ხომ ამ საქმეს არ ეკუთვნის. თუ კი ჟურავსკის კორრესპოდენცია დაბეჭდეთ, იმით თქვენ მოვალენი გახდით, თუ ცალკე რაიმე პირობა არა გქონიათ იმასთან შეკრული.

ტრუბნიკოვის ვექილი. ამასაც მოგახსენებთ, რომ ჟურავსკის მაინც და მაინც წიგნში პირობაა არ დაუდეეს, კორრესპოდენციის დაბეჭდვაში ფასი უნდა მომცეთო, როცა იმას ჰგზავნიდა რედაქციაში. ჩვენ გაზეთის თავში კი დაბეჭდილია: ვისაც ჰსურს სტატიაში ფასის მიღება, სტატიასთანვე უნდა გვაცნობოს.

ჟურავსკის ვექილი. მომითმინეთ, თქვენ რომ განცხადებას ამბობთ, ის მაშინ დაიბეჭდა. როცა კარგა ხანი გავიდა მას უკან, რაც კორრესპოდენცია დაიბეჭდა, ისე რომ იჭვშიაც ვარ, იქნება იმ განცხადების მიზეზი ეს საქმე იყო.

მომრიგებელი მოსამართლე. (ტრუბნიკოვის ვექილს). თქვენი ჩვენებიდგან სჩანს, რომ თუ ჟურავსკის წინათვე არ მოუთხოვია სტატიის ფასი, არც იმის უარი უთქვამს; ამ შემთხვევაში არც ერთს რედაქციას ნება არა აქვს დაბეჭდილს სტატიაში ფული არ მისცეს. შრომას ყოველთვის ფასი სძევს. მე მჯერა, რომ „პეტერბურგის ფურცლისთანა“ და „პეტერბურგის გაზეთისთანა“ საწყალი გაზეთებიც არ შეირჩენენ სტატიების ფულსა. სტრიქონშირა ფასი გაქვთ დანიშნული?

ტრუბ. ვექილი. ოჩრ კაპეიკიდგან ოთხ კაპეიკამდე.

მომრიგებ. მოსამართლე. (ჟურავ. ვექილს). რამდენს ითხოვთ თქვენი მრწმუნებელის სტატიაში.

ჟურავ. ვექილი. სტრიქონზე ოთხი კაპეიკი საკმაო იქნება.

მომრიგებელ. მოსამართლე. მთელ სტატიაში რამდენი სტრიქონია?

ჟურავს. ვექილი. 168 სტრიქონში.

მომრიგ. მოსამართლე. (ანგარიშობს) მთელს სტატიაში 6 მანეთი და თოთხმეტ შაურ ხახეკარი მოდის. ოჰ, საძიებელი ფულიც რა ცოტაა!

ტრუბ. ვექილი. ჩვენ მაგ ფასის დაჭერას არცკი ვფიქრობდით, ჟურავსკის რომ წიგნში ეთხოვნა და გასაგზავნი ფასიც რომ შიგ ჩაედვა.

ჟურავსკის ვექილი. რას ბრძანებთ; ჟურავსკიმ შვიდი წიგნი მოსწერა რედაქციას. და ბოლოს ტრუბნიკოვმა პოლიციმეისტერს აი, რა უთხრა: ვალი არ გვაძეეს ყველა სტატიებში ფასი ვაძლიოთო.

მომრიგებელ. მოსამართლე. (ტრუბ. ვექილს) თანახმა ხართ გამოანგარიშებული ფასი მისცეთ?

ტრუბნ. ვექილი. თანახმა ვარ.

ჟურავსკ. ვექილი. მაგრამ ეს, უფ. მოსამართლე, ერთი უმკირესი ძიებაა. უმთავრესი ის არის, რომ ტრუბნიკოვმა სტატიები გააჩერა და იმითი გზა მოუსპო ჩემს მრწმუნებელს, რომ ზემოხსენებული სტატიები სხვა რედაქციაში გაეგზავნა.

მომრიგ. მოსამართლე. მოწყალეო, ხელმწიფევ! არც ერთი რედაქცია, მაგას არ იკისრებს, რომ დაუბეჭდავი სტატიები უკანვე პატრონებს დაუბრუნოს ხოლმე.

ჟურავსკ. ვექილი. მაგრამ, უფ. მოსამართლე, ამის გაგზავნა ხომ ბევრს არ შეადგენდა, სულ ბევრი რომა ვთქვათ, ექვსი შაური დაეხარჯა. და ეს არ აზარალებდა რედაქციას, ით უფრო, როცა სხვა რედაქცია დაბეჭდავდა ჩემი მრწმუნებლის სტატიას, მაშინ ხომ გაუსწორდებოდა... ამას გარდა...

მომრიგებ. მოსამართლე. მოწყალეო ხელმწიფევ, ზოგი იმისთანა ნივთია, არ შეიძლება, კაცმ. იმის ფასი თქვას... თქვენის აზრით, რამდენათ ეღირება თქვენი მრწმუნებელის ზარალი.

ჟურავ. ვექილი. მე მგონია ამაა თვითონ რედაქტორები უფრო დაუფასებდნენ, როცა განიხილავდნენ სტატიების ღირსებასა. ჩემის აზრით ეს სტატიები ჩემს მრწმუნებელს ხუთ თუმანს მაინც შესძენდნენ.

მომრიგებ. მოსამართლე. არ შეიძლება, როგორმე თქვენვე მორიგდეთ ამ საქმეში.

ჟურავს. ვექილი (ტრუბ. ვექილს). ტრუბნიკოვი არ დათანახმდება, რომ იმ დაჭერილს სტატიებისთვის მისცეს ჯეროვანი ფასი ჩემს მორწმუნესა?

ტრუბ. ვექილი. არ დათანახმდება.

მომრიგებ. მოსამართლე. (ჟურავსკის ვექილს). თქვენ კი არ გინდათ თავი დაანებოთ მაგ ძიებასა?

ჟურავს ვექილი. არ მინდა.

მომრიგებელი მოსამართლე. მაშ მე ასე გადაწყვეტ: „ბირჟევის ვედომოსტების“ რედაქტორს კ. ვ. ტრუბნიკოვს კ. ვ. ჟურავსკის სასარგებლოთ გადახდეს 6 მანეთი და 14 შაურ ნახევარი, ბირჟ. ვედომოსტებში დაბეჭდილ კორრესპონდენციისათვის. სხვა დაუბეჭდავ სტატიების დაჭერისათვისფასის ძიებაზე უარ ეყოს რადგან ამ გვარი ძიება უჯერო და უსაფუძვლოა“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го апрѣля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.